საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვასალიტეტი

ვასალიტეტი (ფრანგ. vassalité ლიტ. ტერმინი, წარმოიქმნა გვაროვნული წყობილების წიაღში და გადავიდა კლასობრივ საზოგადოებაშიც. საერო სფეროში ის შეცვალა ტერმინმა მონამ (ისევე, როგორც მამა შეცვალა უფალმა). ვ-ის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინები ქართულში იხმარებოდა აგრეთვე ფეოდალებისა და უშუალო მწარმოებლების იურიდ. ურთიერთობის აღსანიშნავადაც: უფალი აღნიშნავდა არა მარტო სენიორს, არამედ – გლეხის ბატონსაც (პატრონი). მონა აღნიშნავდა ვასალსაც და თავისუფლებაწართმეულ მონა-მწარმოებელსაც, ასევე ყმა, გარდა ვასალისა, ეწოდებოდა ყმა-გლეხსაც. ვასალად მიღება სრულდებოდა განსაკუთრებული ცერემონიით – დალოცვით. ვასალისთვის მიწისა და თანამდებობის („ჴელის") მიცემას ეწოდებოდა შეწყალება. შეწყალებული ვასალი სენიორისგან მიწას იღებდა სამსახურის პირობით (ბენეფიციუმი). ასეთ „საჴელო მიწას" XI–XIII სს-ში ეწოდებოდა „საკარგავი", ხოლო მის მფლობელს – „მოსაკარგავე". სახელო და სასაკარგავო მიწები თანდათანობით იქცეოდა სამემკვიდრეო საკუთრებად – „მამულად". სწორედ „მამული" წარმოადგენდა საქართველოში სენიორიის – ფეოდ. „სახლის" მატერ. საფუძველს. სენიორიას მეფე ანიჭებდა შეუვალობას (იმუნიტეტს). უფალ-მონობის ხანაში (X ს-მდე) საქართველოში უკვე არსებობდა ფეოდ. იერარქია: მეფე – „აზნაურნი დიდ-დიდნი" (წარჩინებულნი) – მცირე აზნაურები; პატრონყმობის ხანაში (XI–XIV სს.): მეფე – დიდებულნი, მთავარნი – აზნაურნი; პატრონყმობა // ბატონყმობის ხანაში (XV–XVIII სს.): მეფე – მთავარნი – თავადნი – აზნაურნი. საქართველოში ფეოდ. დაქუცმაცებულობა გახანგრძლივდა არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების გამო. ამიტომ ვ-იც XIX ს-მდე არსებობდა. ის იყო საქართვ. ფეოდ. კლასის შინაპოლ*იტ.* ორგანიზაცია რუსეთთან შეერთებამდე. პატრონყმობა//ბატონყმობამ ვ-ის შინაარსი დაკარგა მხოლოდ XIX ს-ში. ამ პერიოდში უკვე ბატონყმობა აღნიშნავდა მხოლოდ ფეოდალებისა და ყმა-გლეხების ურთიერთობას. სენიორალურ-ვასალური ურთიერთობა არსებობდა სხვადასხვა ფეოდ. სახელმწიფოებს შორისაც. ფეოდ. საქართველოს XII–XIII

სს-ში ჰყავდა თავისი ვასალური სახელმწიფოები – ყმადნაფიცი ქვეყნები (აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულები), რ-ებიც საქართველოს უხდიდნენ ხარკს და უწევდნენ სამხ. დახმარებას, იყვნენ მისი *პოლიტ.* გავლენის ქვეშ. საქართველო, თავის მხრივ, იცავდა მათ გარეშე მტრებისაგან (იხ. სტ. პატრონყმობა, სენიორია, სათავადო).

წყარო: სამართალი ბექასი და აღბუღასი. – სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1963; [ისტორიული საბუთები], იქვე, ტ. 2–5, თბ., 1965–74.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 1–2, თბ., 1982–84 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 6–7).

ნ. შოშიაშვილი